N816/11
15.12.16

სს „აიმუვის ჯის" წილის 40%-ის შპს „დიჯითალ ედსის“ მიერ შეძენაზე თანხმობის მიცემის საკითხის განხილვის შესახებ

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში “კომისია“) აღნიშნავს, რომ კომისიას წერილით მიმართა სს 2აიმუვის ჯიმ" (კომისიაში წერილების რეგისტრაციის №შ-6/12425-16 22.11.2016წ. და №შ-6/12430-16 24.11.2016), სს 2აიმუვის ჯის" (ს/კ 404987289) პარტნიორის ფიზიკური პირის შოთა ჩლაიძის 40%-იანი წილის შპს „დიჯითალ ედსის“ მიერ შეძენაზე კომისიისაგან წინასწარი თანხმობის მიღების მოთხოვნით.

“ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის შესაბამისად, წილის შეძენის განზრახვის შესახებ კომისიას უნდა ეცნობოს შეძენის განხორციელებამდე. შეტყობინების ვალდებულება ეკისრება ავტორიზებულ პირს, რომლის წილის შეძენაც ხდება.

“ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, კომისია უფლებამოსილია შერწყმის ან შეძენის თაობაზე ავტორიზებული პირის სრულყოფილი შეტყობინების მიღებიდან 15 დღის ვადაში გასცეს თანხმობა შერწყმაზე ან შეძენაზე ან ბაზრის შესაბამის სეგმენტზე არსებულ კონკურენციაზე შესაძლო გავლენის მოხდენის დადგენის მიზნით მიიღოს გადაწყვეტილება შერწყმის ან შეძენის გამოკვლევის თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

კომისია აღნიშნავს, რომ **შპს 2აიმუვის ჯი"** წარმოადგენს ავტორიზებულ პირს და მას ავტორიზაცია გავლილი აქვს ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების შემდეგ სახეზე:

B.F.4. მაუწყებლობის ტრანზიტი

მაუწყებლობის ტრანზიტი

“ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის შესაბამისად, სს 2აიმუვის ჯის" მიერ (კომისიაში წერილების რეგისტრაციის №შ-6/12425-16 22.11.2016წ. და №შ-6/12430-16 24.11.2016) კომისიაში წარმოდგენილი იქნა შემდეგი სახის ინფორმაცია:

- კომპანიის საფირმო სახელწოდების, საქმიანობის სახისა და სარეგისტრაციო მონაცემების შესახებ;
- სს 2აიმუვის ჯის" შემოსავლების შესახებ;
- სს 2აიმუვის ჯის" ურთიერთდამოკიდებული/აფილირებული პირების შესახებ;
- შპს „დიჯითალ ედსის“ ურთიერთდამოკიდებული/აფილირებული პირების შესახებ.

კომისიის უწყებრივი რეესტრის მონაცემების მიხედვით **შპს 2აიმუვის ჯის"** (ს/კ 404987289) დირექტორი და 40%-იანი წილის მფლობელია შოთა ჩლაიძე, ხოლო 60%-იანი წილის მფლობელია **შპს „დიჯითალ ედსი“** (ს/კ 404963955).

კომისიის უწყებრივი რეესტრის მონაცემების მიხედვით **შპს „დიჯითალ ედსი“** არ წარმოადგენს ავტორიზებულ პირს.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის მონაცემების მიხედვით **შპს „დიჯითალ ედსის“** წილის 12,25%-ის მფლობელია ფიზიკური პირი გივი გურასპაული, წილის 12,25%-ის მფლობელია ფიზიკური პირი ნიკოლოზ გაბელია, წილის 12,25%-ის მფლობელია ფიზიკური პირი ანდრო კიკნაძე, წილის 12,25%-ის მფლობელია ფიზიკური პირი კონსტანტინე ჭავჭანიძე, წილის 51%-ის მფლობელია ფიზიკური პირი ლევან ჭიორელი, ხოლო დირექტორი ირაკლი ცინცაძე.

შპს „დიჯითალ ედსის“ დამფუძნებლები ფიზიკური პირები გივი გურასპაული, ნიკოლოზ გაბელია, ანდრო კიკნაძე, კონსტანტინე ჭავჭანიძე, ლევან ჭიორელი და დირექტორი ირაკლი ცინცაძე კომისიის ავტორიზებულ პირთა უწყებრივი რეესტრში არ ფიქსირდებიან.

კომისია ასევე აღნიშნავს, რომ კომისიის ავტორიზებულ პირთა უწყებრივი რეესტრის მიხედვით დგინდება **შპს „აიმუვის.ჯის“** დირექტორის და წილის 40%-ის მფლობელის ფიზიკური პირის შოთა ჩლაიძის აფილირება **შპს „დიჯითალ ედსისთან“.**

ცხრილი =1



კომისიის საერთო სტატისტიკურ ბაზაში არსებული ინფორმაციის მიხედვით **შპს „აიმუვის.ჯის“** შემოსავლები არ ფიქსირდება.

შპს „აიმუვის ჯის“ პარტნიორის ფიზიკური პირის შოთა ჩლაიძის 40%-ის **შპს „დიჯითალ ედსის“** მიერ შეძენის შემთხვევაში, აღნიშნული ტრანზაქცია ვერ მოახდენს რაიმე გავლენას ელექტრონულ საკომუნიკაციო ბაზარზე არსებულ კონკურენციაზე.

კომისიამ მიიჩნია, რომ არ არსებობს შპს „აიმუვის ჯის“ წილის 40%-ის შპს „დიჯითალ ედსის“ მიერ შეძენაზე წინასწარი თანხმობის მიცემის დამაბრკოლებელი გარემოებები.

“ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე, 26-ე და 27-ე მუხლების შესაბამისად, კომისიამ კენჭისყრის შედეგად, ერთხმად

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. მიეცეს თანხმობა შპს „აიმუვის ჯის“, შპს „აიმუვის ჯის“ წილის 40%-ის შპს „დიჯითალ ედსის“ მიერ შეძენაზე.
2. განემარტოს შპს „აიმუვის ჯის“, რომ ამ გადაწყვეტილების შესაბამისად, წილის მფლობელის ცვლილების შემთხვევაში, შპს „აიმუვის ჯი“ ვალდებულია აღნიშნულის თაობაზე კომისიას აცნობოს ცვლილების განხორციელებიდან 7 სამუშაო დღის ვადაში;
3. დაევალოს კომისიის აპარატის ადმინისტრაციულ დეპარტამენტს ამ გადაწყვეტილების შპს „აიმუვის ჯისათვის“ დაუყოვნებლივ გადაგზავნა (ი. ხარებავა);
4. გადაწყვეტილება ძალაში შედის მისი დამოწმებული ასლის შპს „აიმუვის ჯისათვის“ ჩაბარების დღიდან;
5. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი, ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6), ამ გადაწყვეტილების შპს „აიმუვის ჯისათვის“ ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში;
6. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის კონკურენციის ხელშეწყობის დეპარტამენტს (დ. გოგიჩაიშვილი).

კომისიის თავმჯდომარე	ვახტანგ აბაშიძე
კომისიის წევრი	ელისო ასანიძე
კომისიის წევრი	გიორგი ფრუიძე
კომისიის წევრი	კახა ბექაური
კომისიის წევრი	მერაბ ქათამაძე